გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

აზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკია 'ში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვ ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1893


ქუთაისის თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი საყოველთაოდ აცხადებს, რომ ვექილობანი, გაცემულნი ამა წლის 26 მარიამობისთვის ბანკის წევრთა კრებაზე დასასწრებად, რომელიც ხოლერის გამო უკვე გადაიდო,—ითვლებიან გაუქმებულად მომავალის კრებისთვის.

---

რჩევა მცხეთის დედათა სასწავლებლისა აცხადებს, რომ, მონასტრის სახლის შეკეთებისა გამო, შეგირდების მიღება ბ სწავლა დაიწყება 25 სექტემბერს; ის პანსიონერები, რომელთა შესანახად არ იქმნება შემოტანილი გადაკვეთილი ფული, პანსიონში არ მიიღებიან. (3—2)

---

## საჭირო ღვაწლი

—

დიდი ხანი არ არის მას აქედ, რაც ჩვენს ქვეყანაში სახალხო სკოლა დაარსდა. ახალმა საქმემ გამოიწვია ახალი კაცები. ამათ მიენდო დიდი და მძიმე მოვალეობა: წრთვნა ხალხისა კარგისა და კეთილისათვის; მიენდო მოფენა სწავლისა და პატიოსანის მოძღვრებისა, რათა მომავალმა დგმამ შესძლოს გაგებულად განსაჯოს საგანი და ღირსეულად შეასრულოს მოვალეობა მამულის შვილისა.

ამ ახალს საქმეს მოჰყვა ისა, რომ თითქმის ყოველგან გაჩნდნენ ბევრად, თუ ცოტად განათლებულნი და გონება განვითარებულნი მასწავლებელნი. წინად ამისა-კი ჩვენს სოფლებში სანთლით არ მოიძებნებოდა, არა თუ საშუალო სკოლაში სწავლა დამთავრებული, არამედ ისეთი, რომელსაც წიგნის წაკითხვა ჩვეულებად ჰქონოდა.

თუ წერა-კითხვა დასჭირდებოდათ, ჩვენი მანდილოსნები ასრულებდნენ მდივნის მოვალეობას, მაგრამ ქართულ მწიგნობრობას დიდად, არც ესენი სწყალობდნენ.

ჩვენ არ ვამბობთ, რასაკვირველია, ძველ ქართველ ქალებზედ რომელთაც საღმრთო წერილიც ჩინებულად იცოდნენ და ქართული ლიტერატურაც. იმ დროს, როდესაც ძველი ჩვენის ცხოვრების წარმომადგენელნი ნაღვლიანის უჯედრებით საუკუნოდ გვეთხოვებოდნენ, რომ მშობლიურს ენას ვერ ვუვლით და ვერ ვპატრონობთ, იმ დროს ჯერ სოფლის სკოლას, ახალს წესსა და საჭიროებას ფეხი არ ჰქონდა მოდგმული.

სწავლასა და მეცნიერებას ისეთი განსხვავებული თვისება აქვს, რომ იგი აუცილებლად დაიმორჩილებს ადამიანის აზრსა და მთელს მის ბუნებას, თუ ჭკვიანად და ნათლად აქვს მიწოდებულ ი. აი, ამ გზით გონიერსა და განვითარებულს მასწავლებელს შეეძლო დიდის სიკეთის მოტანა.

ესეთი შრომა და შედეგი სოფლის მასწავლებელთა მოღვაწეობისა, საგულისხმო იყო, ნაყოფიერი და შუქ-მომფენი იქნებოდა ხალხის ბნელ ცხოვრებისათვის. მაგრამ ამ დიდ და მძიმე გამოსარკვევ საგანზედ ეხლა ჩვენ ვერას ვიტყვით; ვერას ვიტყვით, იმიტომ რომ ასეთის საგნის სამართლიან განაჩენის დასადგენად, საჭიროა ვრცელი სტატისტიკური გამოკვლევა მრავალთა საგანთა და გარემოებათა.

დღეს-კი ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ სხვა მხარე სოფლის მასწავლებელთა მდგომარეობისა.

ეს საშუალო სკოლაში კურს დამთავრებული ახალგაზდანი სცხოვრობენ წლიდგან წლამდის სოფელში; მათთვის გულ-გადახსნილია მთელი ცხოვრება ხალხისა: მისი საჭიროება, მისი ლხინი და ჭირი, მისი თითოეული ღირსება და ნაკლულევანება; ერთის სიტყვით, ყოველივე, რაც-კი შეადგენს ადამიანის სულიერსა და ნივთიერს ვითარებას.

საფიქრებელი იყო, რომ გონება-განვითარებულ კაცისთვის ყოველი ესე ძვირფასს მასალად გამოდგებოდა, ფხიზელისა და გონიერის აზრის შესადგენად. ამასთან მოსალოდნელი იყო, რომ ამ აზრებს გაუზიარებდნენ საზოგადოებას.

ძნელად წარმოსადგენია, კაცმა, რომელმაც წერა-კითხვა იცის, ხალხის ცხოვრებაში წილი უდევს, ჩაბარებული აქვს ერთი უწმიდეს ვალდებულებათაგანი—ერის გონების განათლება, და თან ევროპის კულტურას თვალ-ყურს ადევნებს, გულ-გრილად უმზიროს წლიდგან წლამდე ხალხის ცხოვრებას და მდუმარებით იყოს მოცული! დავიჯეროთ ეს ახალგაზდა ნასწავლნი კაცნი პირში წყალ-დაგუბებულსავით უნდა იყვნენ და ამათი არა ისმოდეს-რა?

საზოგადოება ყურადღებით და სიამოვნებით მოისმენდა ყოველს ნათვალევს და ნარკვევს ჩვენის ცხოვრებისას, რომელსაც-კი საზოგადო მნიშვნელობა ექმნებოდა და შეადგენდა ქვეყნის მეტნაკლებობის და ავკარგიანობის საწყაოს.

ამისთანა საწყაოს რა მნიშვნელობაცა აქვს—ეს ყველასათვის ადვილად მისახვედრია.

პირველი მეგობრობა და სამსახური ხალხისა მდგომარეობს იმაში, რომ ამ ხალხის ცხოვრება ჭეშმარიტად იქნეს გაცნობილი, გამოკვლეული და გამოცხადებული საქვე ცნოდ. სანამდის ეს მხარე საგნისა დარჩება ისე უყურადღებოდ, როგორც აქამომდე იყო, მანამდის, ნამდვილი ხალხის საჭიროებისა და ღონისძიებისა დასახმარებლად გლეხისა—ჩვენ არ გვეცოდინება და არც შეგვეძლება.

სოფლის მასწავლებელნი-კი, თუ მოინდომებენ, დიდს და საჭირო ღვაწლს დასდებდნენ ამ საქმეს.

მეველე

---

## ოფიციალური ცნობა ხოლერის შესახებ

აგვისტოს 28, დილით ტფილისში სულ ექვსი ხოლერით ავადმყოფი იყო.

აგვისტოს 28 მიხეილის საავადმყოფოში მიიყვანეს ერთი ხოლერით ავადმყოფი.

აგვისტოს 29 საავადმყოფოში სულ სამი ხოლერით ავადმყოფი იყო.

აგვისტოს 30, ხოლერით ავად გახდა ორი კაცი.

აგვისტოს 31 მიხეილის საავადმყოფოში სულ ხუთი ხოლერით ავადმყოფი იყო.

რკინის გზის საავადმყოფოში გარდაიცვალა ხოლერით ისიდორე შალამბარაშვილი.

სამხედრო საავადმყოფოში სულ ორი ხოლერით ავადმყოფი დარჩა.

აგვისტოს 31 ტფილისში სულ რვა ხოლერით ავადმყოფი იყო.

ტფილისის მაზრის სოფელ საცხენისში აგვისტოს 27 სულ ორი ხორელით ავათმყოფი დარჩა, მათგან ერთი აგვისტოს 27-ს გარდაიცვალა. 28 აგვისტოს ხოლერით ავად გახდა კიდევ ერთი კაცი და 29-ს საცხენისში სულ ორი ხორელით ავადმყოფი დარჩა.

ტფილისს მაზრის სოფელ ახალსოფელში, აგვისტოს 27 ხოლერით ავად გახდა ერთი. ეს პირველი ავადმყოფობაა ხოლერით.

---

## ახალი ამბავი

—

⁂ 28 აგვისტოს საღამოს, როდესაც საქონლის მატარებელი № 49 მოუახლოვდა ტფილისის სადგურს, მგზავრი ლევან გიაშვილი, რომელიც უბილეთოდ მოდიოდა თურმე, გადმოხტა და 21 საჟენიან ხრამში ჩავარდა. საწყალი ძლიერ დაშავდა. დაშავებული რკინის გზის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

⁂ ყვირილა: 28 აგვისტოს ღამე იპოვეს რკინის გზის ლიანდაგის ახლო მკვდარი კაცი. ვინაობა ამ კაცისა ჯერ არ იციან და არც ის იციან, თუ რა მიზეზით გარდაიცვალა.

⁂ ს. ეწერი (სამეგრელო): მთელ სენაკის მაზრაში, ისეა გახშირებული ყოველ გვარი ავ-კაცობა, რომ საძნელოდ მიგვაჩნია ყველა იმის დაწვრილებით გადმოცემა. რა ბოროტ-

---

# ფელეტონი

—

## წადილი უსაფუძვლო ცვლილებისა.

(ვუძღვნი მასწავლებლებს)

წერილი პირველი

მოგეხსენებათ, რომ რომლისამე სასარგებლო ცვლილების მოხდენას, ახალის კვალის გავლენას ცხოვებაში განვითარებაც ეპირვება და შემოქმედებითი ძალაც. სამაგიეროდ, წალმა გაჩაღებულის საქმის უკუღმა დატრიალება, გაკაფულ გზის ლოდებათ ავსება არაფერს არ მოითხოვს ადამიანისაგან, გარდა ჩაუფიქრებლობისა, ცუდ-უბრალო ცვლილების ქავილისა... სამწუხაროდ, ამ უკანასკნელს მოვლენას ხშირად ვხედავთ ჩვენს ცსოვრებაში, რომელშიაც ნათელს აზრის და შემოქმედებითის ძალის მაგიერ მუშაობს წინდაუხედველობა, ვიწრო, ბნელი აზრი და ქავილი ცუდ უბრალო ცვლილებისა. უკანასკნელს წლებში ამ გვარმა ქავილმა, სხვათა შორის, საკითხად გახადა ქართულის წერის საქმე, დიდის ხნის გარდაწყვეტილი, ჭეშმარიტს გზაზედ დაყენებული.

ქართულს წერაში წინედაც და ახლაც ოჯახობასა და სკოლებში მისდევდნენ და მისდევენ შემდეგს წესსა: პირველს ხანს მოწაფეებს აწერინებდნენ და აწერინებენ ბეჭდურს ხელსა, მსხვილსა და მრგვალსა, რომელიც სტამბურის შრიფტიდგან გაირჩევა მხოლოდ სიდიდით. მერმე ამ ბეჭდურს შრიფტს მოწაფე თანდათან აპატარავებს, სიმაღლესა და სიგანეს აკლებს, ამოკლებს, ცოტაოდენად სცვლის და ათავებს იმ ნუსხური ხელითა, რომლითაც ჩვენ ყველანი ვწერთ. ამ სახით ბავშვი, რომელიც ახლად შეუდგა სწავლასა, კითხულობს და სწერს არა სხვა-და-სხვა შრიფტსა, არამედ ერთსა და იმავესა; შემდეგში-კი, როცა ბეჭდურს გაიკვეთავს როგორც კითხვით, ისე წერით, წერაში ადგება ცოტა განსხვავებულს გზასა, ისე რომ ბოლოს ერთს შრიფტს კითხულობს წიგნებში, მეორეს ხმარობს წერაში...

ასეთი იყო და არის წერის წესი ჩვენში, იგი ყველას მიაჩნდა გონივრულ, საუკეთესო წესად და სწავლის ხელმძღვანელნი მხოლოდ იმასა ცდილობდნენ, რომ ეს წესი კარგად განეხორციელებინათ, შეემუშავებინათ და, რაც შეიძლება, ლამაზი შრიფტით ებეჭდათ ქართული დედნები. ახლა-კი სხვა წადილმა იჩინა თავი. აღმოჩნდნენ მასწავლებელნი, რომელნიც უარჰყოფენ ამ წესსა და უმჯობესად სთვლიან პირდაპირ ნუსხურიდგან იწყონ საქმე. იგინი ამბობენ: წერის დროს ჩვენ ყველანი ნუსხურსა ვხმარობთ და ჟრა მრგვალს ხელსა, დი განა ის არა სჯობიან, რომ მრგვალ ხელზედ დრო აღარ დავაკარგვინოთ ბავშვებსა და თავდაპირველადვე ნუსხური ვაწერინოთ; ნუსხური ხელი რომ ძნელი იყოს მრგვალს ხელზედ, მაშინ კიდევ ჰო, მაგრამ იგი უფრო ადვილია და რატომ მის სწავლებას არ უნდა შევუდგეთ საქმის სათავეშივეო?

პირველ შეხედვით ეს მოსაზრება ჭკუაში დასაჯდომია. მაგრამ, როცა საქმეს ჩაუფიქრდები, გასინჯავ მას ყოველ მხრივ, დარწმუნდები, რომ წინანდელი ქართველები, რომელთაც ახლანდელი წესი წერისა დაუმყარებიათ, სწორედ საფუძვლიანად მოქცეულან; ახლანდელნი ზოგიერთა მასწავლებელნი-კი, რეფორმის სურვილით გამსჭვალულნი, საქმეს უყურებენ უვიწროეს წერტილიდგან და მათი ახალი აზრი შეადგენს არა ამერიკის აღმოჩენას, არამედ მიწევას ჭაობისაკენ.

თავდაპირველად უნდა აღვნიშნოთ, რომ წერას იმისი მეათედი მნიშვნელობა იდარ აქვს, რაც ჰქონდა წინედ, გუტენბერგამდე, როდესაც მთელი მსოფლიო ლიტერატურა მხოლოდ ხელთნაწერებთაგან შესდგებოდა და გადამწერელნი იყვნენ ბურჯნი მწერლობისა. წიგნთა ბეჭდვის შემდეგ გარემოება ძირითადად შეიცვალა. მწერალთა ადგილი დაიჭირეს სტამბებმა, მაშინებმა, მბეჭავებმა, ასოთ-ამკრეფლებმა. სწავლაში, წერის მაგივრად, გამეფდა კითხვა, და წერა ჩამოხტა პირველ ადგილიდგან უკანასკნელზედ. ასეც უნდა მომხდარიყო. ყოველი ნასწავლი ადამიანი ერთი ასად მეტსა კითხულობს, ვიდრე სწერს. გამოკლებას შეადგენს მცირე რიცხვი გადამწერლებისა, რომელიც დღეს, თუ ხვალ თითქმის სრულიად გაუქმდება, რადგანაც მათ საუბედუროდ, ახლა მწერალი მანქანა მოიგონეს და დღითი-დღე ხმარებაში შემოდის.

ცხოვრებასა და სკოლაში დიდმნიშვნელობიან საგანს პატარა მნიშვნელობის საგანი უნდა ემორჩილებოდეს, როგორც გრამმატიკაში დამატებითი წინადადება ემორჩილება მთავარ წინადადებასა. სწავლაში კითხვა მეფეა, წერა კარის კაცია; უკანასკნელი პირველის გამგონე უნდა იყოს, მის ბრძანებაზედ დადიოდეს. ხოლო რასა თხოულობს კითხვა, მისი ინტერესი, მისი სწრაფად და მტკიცედ შეთვისება მოწაფეთაგან? სხვათა შორის თხოულობს მას, რომ ბავშვმა სწეროს სწორედ იმისთანა ასოები, რომელსაც კითხულობს, სწეროს მიუცილებლად ბეჭდური მრგვალი ხელი. როცა ბავშვი კითხულობს რომელსამე ასოებსა და ზედმიწევნით სწერს მათვე უცვლელად, სახე ასოებისა ერთი სამად უფრო ცხადად, უფრო გარკვევით იხატება მის წარმოდგენაში და უფრო მტკიცედ რჩება სახსოვარში.

ყველამ კარგად იცის, რომ საგანი გასინჯვით ისე არას დროს არ შეისწავლება, როგორც დახატვით, საკუთარის ხილით გამოსახვით. უკანასკნელს შემთხვევაში საგანი ქმნი-

186—209

მოქმედება გინდა ამ მაზრაში არ იყოს, გზაზე დახვედრა და გაძარცვა, სულ უბრალოდ კაცის კვლა და ქურდობა ხომ ხშირია და ხშირი.

აი ერთი მაგალითი. ერთს ჩვენს სოფლელს, გვარად ფარნა ცომაიას, საღამო ჟამს რამდენიმე შეიარაღებული კაცი შეუცვივდა სახლში: «ჩვენ ვიცით, რომ შენ ფული გაქვს მოიტა ჩქარა, თორემ ეს არის თავი გაგაგდებინეთო*. ადგა მასპინძელი თავ-ზარდაცემული და მისცა ასი თუმანი ქაღალდის ფული. შემდეგ მოსთხოვეს ვერცხლის ფული, ესეც მისცა მასპინძელმა ორმოცდა-ათი თუმნისა. ამასაც არ დასჯერდნენ ეს ვაჟბატონები. ამ კაცის ორი ძვირფასი ხმალი და სხვა იარაღებიც ჩაილაგეს, მერმე სახლს დაუწყეს ჩხრეკა და რაც რამ ოქრო-ვერცხლეულობა გააჩნდა, სულ გაზიდეს. როგორც ამბობენ, ხუთას თუმანისა მეტი წაუღიათ ფულით და ნივთით.

⁂ ს. ხიბულა (სამეგრელო): ამას წინად ჩვენს სოფელში ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა: ერთი ამ სოფლის მცხოვრები კაცი ცოფიანმა ძაღლმა დაჰკბინა. საწყალი რამდენისამე დღის შემდეგ გაცოფიანდა და დიდის ტანჯვით დალია სული. დარჩა საბრალოს ყოვლად უნუგეშოდ წვრილ-შვილი.

ნუ თუ მთელს სოფელში ისეთი კაცი არ მოიძებნება, რომ ამისთანა უბედურს სამკურნალოს გზა უჩვენოს?

⁂ სოფ. ბანძა (სამეგრელო): აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში, ჩვენის სოფლის ბლაღ. მ. ა. კე—იას ეზოდგან მოჰპარეს ერთი კარგი ცხენი და ძროხა. ეს პირველი არ არის ჩვენს სოფელში, მაგრამ მაინც ვერ იქმნა და ვერ მოისპო აქეთ ქურდობა, რომელიც თანდათან მატულობს‘ თორემ კლებით არ კლებულობს. დაკარგულს დაეძებენ, მაგრამ ჯერჯერობით ვერ აღმოუჩენიათ.

⁂ ახალ-სენაკი (სამეგრელო): სხვა სასწავლებლების გარდა, რომელნიც ახალ-სენაკში არსებობენ, არსდება კიდევ აქ ერთი ახალი სამაგალითო სამრევლო სკოლაც, რომელშიაც მოემზადებიან და გაიწვრთნებიან პატარა შეგირდების გარდა დიდებიცა სამრევლო სკოლების მასწავლოებლობლის თანამდებობაში. როგორც აცხადებენ დამაფუძნებელნი ამ სკოლისა, დასაწყისი სწავლისა უნდა მოხერხდეს ამა წლის სექტემბრიდგანვე.

⁂ დ. აბაშა: კვირას, ხუთს სექტემბერს, სცენის მოყვარულთაგან იქმნება ქართული წარმოდგენა საქველ-მოქმედო განზრახვით.

⁂ ს. საგარეჯო (ტფილისის მაზრა): ხოლერა აქაც გვეწვია. ერთი კაცი გახდა ავად, გვარად შათირიშვილი, ექიმმა გასინჯა და ხოლერა აღმოჩნდა. არც საკვირველია, რომ გაჩნდეს ამისთანა ბინძურობაში. შაბათობით და კვირაობით ათი-თორმეტი ძროხა უნდა დაჰკლან აქაურ მედუქნეებმა და სისხლი ნიაღვარივით მიდის ბაზრის ქუჩაზედ შუადღისას.

აგრონომი გეევსკი მოვიდა 24 მარიამობისთვეს, დაიარა ყველა ვენახები და ძალიან მოეწონა ის ვენახები, სადაც ვაზს უწამლეს. ეხლა ნანობენ ისინი, ვინც არ უწამლა, დადიან და იძახიან: „რა ღმერთი გაგვიწყრა, რომ არ ვუწამლეთ, რომ ჩვენც კარგი მოსავალი გვქონიყოვო“.

⁂ შიო-მღვიმელის მონასტერი (ქართლი), 31 აგვისტო: წლევანდელ წვიმებმა შიო-მღვიმის მონასტრის გზები ძლიერ დახრამეს და წაახდინეს. ამის გამო გორიდგან იყო მოხმობილი გზების გასაკეთებლად ბერძენი ივანე, რომელმაც განაახლა ნიქოზის დიდი საკათედრო საყდარი და აგრეთვე იკორთის ფრიად წარჩინებული საყდარი, სადაც ასაფლავიან მოწამენი ბიძინა, ელიზბარი და შალვა, და ახ ახლებს მშვენიერ კულბითის საყდარს, სადაც ასაფლავია მეფე გოჩა. აქამომდე უგზოობის გამო შეწყვეტილი იყო მონასტერში მიმოსვლა. ზემოხსენებულ ბერძენს ჰქონდა მიცემული გზების გაკეთება, იმან კიდევ სხვა ბერძნები მოიყვანა სამუშაოდ და პირობისამებრ თლილის ქვით ბოგირები გააკეთა და ადგილ-ადგილ ახალი ფართო გზები გაიყვანა მონასტრის ხევში და ამ აგვისტოს თთვეში დაასრულა ეს გზები. თუმცა იაფად არ დაჯდა ამ გზების გაკეთება, მაგრამ ახლა კარგი, უშიშარი გზებია, და ვისაც სურს შიო-მღვიმის მონასტერი მოილოცოს, შეუძლიან მივიდეს შიგ მონასტერში დატვირთულ ურმითაც. მონასტრის ბორანიც კარგა მუშაობს მტკვარზედ. ამ ბორანზედ კარგა დაიარებიან დადებული ურმები.

⁂ ქ. თელავი, 23 აგვისტო: კვირას, 22 აგვისტოს, თელავის საზოგადო კრების დარბაზში ამ ჟამად აქ მყოფმა მელიტონ ბალანჩივაძემ გამართა სამუსიკო და სალიტერატურო საღამო ზოგიერთ მუსიკის მოყვარულთა დახმარებით.

საღამოს საზოგადოება ბლომად დაესწრო.

ბ-ნ ბალანჩივაძემ, სხვათა შორის, იმღერა სამი ქართული თავისი რომანსი. სამივე გაამეორებინეს. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა „ნანა“-მ, რომლის მუსიკა, მართლა რომ კარგად შეესაბამება შესანიშნავ სიტყვებს ი. ჭავჭავაძისას. საზოგადო ღირსება ბატონ ბალანჩივაძის ხელოვნებისა ისაა, რომ მის მუსიკას ნამდვილი ქართული ხასიათი აქვს.

ბ-ნ ბალანძივაძეს ხელს უწყობდნენ ქ-ნები ა. ი. ვოლოხოვისა, კ. ვიჩიროვისა (აკომპანიმენტი) და ბ-ნი შიუკაშვილი. ეს უკანასკნელი სულ ახალგაზდაა, მშვენიერი ხმა აქვს—ბარიტონი. ბ-ნი შიუკაშვილი მღერით ადვილად ჰხიბლავს მსმენელს, რადგანაც ხმა მეტის-მეტი ტკბილი და მელოდიური აქვს. საზოგადოებამ ეს მომღერალიც მოიწონა და ხანგრძლივის ტაშისკვრით დააჯილდოვა. არ იქნებოდა ურიგო, რომ ბ-ნი შიუკაშვილი მკვიდრად შეუდგეს მუსიკის შესწავლას.

⁂ დ. აბაშა: თითქმის მესამე წელიწადია, რაც აქ წყლის გამოყვანას შეუდგნენ, და დღესაც წყალი არ მოდის. თხრილი ყოველგან მზად არის და წყალს-კი არავინ ხედავს, ნეტა ამდენის ხალხის დაღუპვას და უდროო-დროს მოცდენას რა პირით უყურებს ამ საქმის ამტეხი, რომელმაც იმისთანა დროს მოაცდინა საწყალი გლეხი, როდესაც დღეში თითო მუშა ექვს აბაზამდის ღირდა.

⁂ ს. ასკანა (გურია): 24 აგვისტოს ერთი საზარელი ამბავი მოხდა: აქაური მცხოვრები პ. სეფერთელაძე ქობულეთში მუშაობდა. ხოლო ცოლს მიუწერია სახლში ამოდიო. ამოსულა თუ არა, ცოლს თავისი მეზობელი ნ. სირაძე დაუბეზღებია, არ მეშვება, მეარშიყებაო. მეორე დღეს ამდგარა ეს სეფერთელაძე, მისულა სირაძესთან და ხანჯალი დაუკრავს თავში და შემდეგ მუცელში ოთხ ადგილას. საბრალომ წვრილ ცოლ-შვილის პატრონმა სირაძემ იქავე სული განუტევა. დამნაშავე მაშინვე შეიპყრეს.

24 ამ თთვეს სოფლის ყრილობა იყო, რომელსაც დაესწრო ადგილობრივი ბოქაული ჟღენტი. უნდა დაედგინათ განაჩენი ბოქაულის წინადადებით აქაურის მკვიდრის ი. ჩამელეშვილის საუკუნო გადასახლებაზედ. ყრილობამ უარი განუცხადა, ჩვენ იმ კაცში ვერავითარ დანაშაულს ვერ ვხედავთ და ვერც გადავასახლებთო.

⁂ ს. მაკვანეთი (გურია): ამ დღეებში ბოქაუმა ფიცხელაურმა აღმოაჩინა ქბ-ნ ჟღენტის გამქრდავი, რომელიც ქ. ტფილისში, 18 ამ თვისას გაჰქურდეს. ეს ყოფილა მსახურად ქ-ნ ჟღენტთან და არის ამ სოფლის მცხოვრები. კ. მსხალაძე, რომელსაც უპოვეს ფულიცა და ბილეთებიც. ქურდი გამოტყდა და მოპარულ ფულიდგან რაც დარჩენოდა, 59 მანეთი და ერთი საათი, ამ ფულით ნასყიდი, წარუდგინა ბოქაულს. ხოლო დაუტოვებია ბანკის ბილეთები ტფილისში. ფიცხელაურმა მსხალაძე ტფილისში წაიყვანა იმ ბანკის ბილეთების აღმოსაჩენად.

⁂ სოფ. ბაკურციხე (კახეთი), 25-ს აგვისტოს. ყურძენი სრულიად დამწიფდა. წელს თუმც ღვინის მოსავალი შარანდელზედ ნაკლები იქმნება, მაგრამ ღირსებით-კი უკეთესი დადგება, რადგანაც ამინდი ისეთი ჰქონდა.

⁂ სოფ. დიდი-ჯიხაიში (იმერეთი): გახშირებულია მუცლის გლეჯა და პირსაქმობა.

17 აგვისტოს აქ წარმოადგინეს პიესა „არსენა“ საქველ-მოქმედო განზრახვით. შემოსავალი ახლად დასაარსებელ წიგნთ-საცავისათვის უნდა შეეწირათ, მაგრამ სამრევლო სკოლისათვის გადუდვიათ, რომელიც ახლად არსდება ჩვენში.

## შეცდომის გასწორება

კვირის მეთაურში შეცდომით დაბეჭდილია „საქალაქო მოვალეობა“—„სამოქალაქო“ მოვალეობის მაგივრად.

აგრეთვე იმავე №-ში დაბეჭდილია „ჟურნალის Русск. Вѣд.“—ჟურნალის Русск. Мысль-ის მაგივრად.

## კორესპონდენცია

ბათუმი, 27 აგვისტო. დღეს, დილის 6 საათი იქმნებოდა, ხომალდი „ოლგა“, რომელსაც მოჰყავდა სრულიად სომეხთა კათალიკოსი მკრტიჩი I, ხრიმიანი, „ჰაირიკად“ წოდებული, მოადგა რუსის საზოგადოების ნავთ-სადგურს.

კათალიკოსის მოსვლა დღეისთვის მოულოდნელი იყო. რამდენადაც ვიცით, სანამდისინ „ჰაირიკი“ საზღვარ-გარეთის ნიადაგზე იყო, მაინც და მაინც არაფრად ეჩქარებოდა. შემოდგა რუსეთში ფეხი თუ არა, ვოლოჩეცკს გადმოაბიჯა, და მარშრუტიც შეიცვალა. ოდესაში, მგონი

---

ლება კაცის ხელისა, და არამც თუ ყოველი მთავარი ნაწილი საგნისა ზედმიწევნით გაიცნობება, არამედ თვითვეული პაწაწკინტელა უმნიშვნელო ნაწილიც კარგად გაიშინჯება; ამასთან ცხადი ხდება ურთიერთობა ნაწილებისა, მათი კავშირი ერთმანეთთანა. საუკეთესო მაგალითს ამ აზრის დასურათებისათვის წარმოგვიდგენ ქარტის, რუკის გაცნობა. ვსთქვათ თქვენ ბეჯითად, ყურადღებით გასინჯეთ ქარტა რომლისამე ქვეყნისა, გასინჯეთ არა ერთხელ, არამედ რავდენჯერმე. სრულია თქვენს გონებაში სახე ამ ქვეყნისა? არა, წარმოდგენის ძაფი ბევრგან სწყდება, ბევრი რამ წვრილმანი გაჰპარვია თქვენს თვალსა და თქვენ არ შეგიძლიანთ სხვას ცოცხლად, უნაკლულოდ აუწეროთ ამ ქვეყნის შენობა, მისცეთ მას უტყუარი, სრული წარმოდგენა მასზედ. მაგრამ-კი იმავე ქვეყნის ქარტა აი თქვენ დახატეთ საკუთარის ხელით, დახატეთ არა რავდენჯერმე, არამედ ერთხელ მხოლოდ და რა შედეგი მიიღეთ? მთელი ქვეყანა წყლებით, მთებით, გზებით, ტბებით და სხვა კუთვნილებით თქვენ თვალ წინ იხატება ცოცხლად და გარკვევით და ეს სრული, უკანასკნელი წარმოდგენა სამუდამოდ რჩება თქვენს სახსოვარში. ასეთს დიდს განსხვავებას საგნის გასინჯვასა და გამოსახვის შუა ჰბადავს არა მარტო ის გარემოება, რომ გამარტვის ჟამს თქვენი თვალები უფრო დაწვრილებით იკვლევენ საგანსა, არამედ იმისგანაც, რომ ამ დროს მოქმედობს თვალებთან ერთად, ესრედ წოდებული კუნთთა გრძნობა (мускульное чувство).

აქედგან ადვილად დასკვნით, თუ რავდენს დახმარებას უწევს წერა-კითხვასა, რავდენად აჩქარებს, აადვილებს და მტკიცედ ჰყოფს მას მაშინ, როდესაც თქვენ ბავშვს საკუთარის ხელით ასახვინებთ, აწერინებთ იმავე ასოებსა, რომელსაც ისინი წიგნში კითხულობენ, აწერინებთ ბეჭდურ, მრგვალ ხელით, რომლითაც ჩვენში წიგნები იბეჭდება. მეორე მხრივ, ადვილად მიხვდებით, თუ რავდენად უნდა აბრკოლებდეს, აძნელებდეს კითხვას წერა, როდესაც წერის ანბანი განსხვავდება ბეჭდურის ანბანისაგან, როდესაც ერთი და იგივე ხმა წიგნში გამოიხატება ერთი ასოთი და წერაში-კი სხვა ასოთი. ამ შემთხვევაში კითხვის ჩაბეჭდილებანი არ ეთანხმებიან წერის ჩაბეჭდილებათა, ბევრში ეწინააღმდეგებიან, ასუსტებენ, ერთი ჩაბეჭდილება შლის მეორეს ბავშვის გონებაში, და მოსწავლე მოკლებულია შეძლებას შეჩერდეს განსაზღვრულს ნასახებზედ და მტკიცედ შეითვისოს იგინი..

ევროპის პედაგოგებს თავდაპირველადვე კარგად ჰქონდათ შეგნებული, რომ წერას შეუძლიან დიდადაც დაეხმაროს კითხვასა და დიდადაც დააბრკოლოს იგი. ამიტომ იმავ თავითვე ურთიერთობა კითხვასა და წერას შორის შეადგენდა ერთს უმთავრეს პედაგოგიურს საკითხსა. წინედ ამ საკითხს თავიდგან იშორებდნენ იმითი, რომ ჯერედ მარტო ბეჭდურს კითხვას ასწავლიდნენ და მხოლოდ შემდეგში, როცა მოსწავლე კარგად გაიტეხდა ენას კითხვაში, ხელთ-ნაწერის წერას დააწყებინებენ ხოლმე. ამ დროს წერა არც ეხმარებოდა კითხვასა და არც ხელს უშლიდა. მერმე შემოიღეს ესრედ წოდებული წერა-კითხვის მეთოდი (способъ письма—чтенія), ხელ-ნაწერის ასოს აწერინებდნენ და თანაც აკითხებდნენ. როცა ამ წესით ხელ-ნაწერს ანბანს გაათავებდნენ, მაშინ ბეჭდურს ანბანს ასწავლიდნენ. ბოლოს ეს მეთოდიც უარ-ჰყვეს პედაგოგებმა და ექიმებმა შემდეგი მოსაზრების ძალით: პირველად, წერა, რომელსაც ბევრად ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ხდებოდა მთავარ საგნად, იჭერდა ბავშვის გონებაში პირველ ადგილსა და შემდეგში უშლიდა სტამბურის ასოს დროით შეთვისებასა, აბრკოლებდა კითხვასა; მეორედ, გამოცდილებამ და საგანში უფრო ღრმად ჩაკვირვებამ ცხად ჰყო პედაგოგებისა და ექიმებისათვის, რომ წერა ძლიერ ძნელი პროცესია, ბევრად უფრო გასაჭირი ბავშვისათვის, ვიდრე კითხვა, რომ ამ შემთხვევაში წინააღმდეგ პედაგოგიის მთავრის მცნებისა, საქმე ძნელიდგან იწყება და ადვილზე გადადის, რომ თვით ბავშვის სიმრთელისათვის ეს მეთოდი მავნებელია. ამ საფუძველთა ძალით უარ-ჰყვეს მეთოდი წერა-კითხვისა და დაუბრუნდნენ კითხვა-წერის მეთოდსა, რომელსაც მისდევენ არა უწინდებურად, არამედ ისე, როგორც მოითხოვს თანამედროვე პედაგოგი და ჰიგიენა. აკითხებენ დიდი სტამბურის ასოებით დაბეჭდილს სიტყვებსა, შეკავშირებულ სურათებიანა. ავარჯიშებენ სიტყვების კითხვაში, რომლებშიაც ახალი ასო მოქცეულია ხან თავში, ხან შუაში, ხან ბოლოში და შემდეგ სიტყვებიდგან გადადიან ფრაზებზედ და მოთხრობებზედ.

წერას რაღას უშვრებიან? პირველს ხანში, ვიდრე ბავშვი კარგა ბლომს ნაწილს ანბანისას გაათავებდეს და კითხვის პროცესში გაიმართებოდეს, წერა სრულიად შეჩერებულია, არ ასწავლიან. სამაგიეროდ, ბავშვებს ახატვინებენ იმავე ბეჭდურს ასოებს, რომელთაც კითხვას ისინი სწავლობენ. მერმე კითხვას ზედ ურთავენ წერასაცა. ამ სახით არის შედგენილი, მაგალითად, ახალი ანბანი ბუნაკოვისა, რომელიც წინედ, უშინსკისავით, ადგა წერა-კითხვის მეთოდსა და ბოლოს წლებში-კი უარჰყო ეს გზა და მიიღო მეთოდი კითხვა-წერისა. აქ საჭიროდ ვრაცხთ მოვიგონოთ, რომ ოცის წლის წინედ გამოჩენილი და ფრიად გამოცდილი რუსის პედაგოგი ბარონ კორფი თხოულობდა, რომ სკოლებში, კითხვის სწავლების გასაადვილებლად და დასაჩქარებლად, წერა-კი არ ესწავლებინათ ანბანის კითხვის დროსა, ეხატვინებინათ ბეჭდური რუსული ასოები და მხოლოდ შემდეგში, როცა პირველს საკითხავს წიგნს შეუდგებოდნენ ბავშვები, წერა მაშინ დაეწყობინებინათ. მაშინ ეს აზრი რუსეთში ძლიერ იუცხოვეს, ახლა-კი სად და ჭეშმარიტ აზრად მიაჩნიათ როგორც ევროპაში, ისე რუსეთში,

ოთხი დღე უნდა დარჩენილიყო, დარჩა-კი მხოლოდ, მგონი, ერთი დღე და ღამე; აქაც გვეგონა ორი დღე დარჩებოდა კათალიკოსი, იმის წირვას მოვისმენდით და ქადაგებას გავიგონებდით, მაგრამ არ იქმნა: ხვალ რომ შაბათია, საღამოს მატარებლის მაგიერ, დილის მატარებლით ტფილისისაკენ გაემგზავრება. კათალიკოსის მოსვლა ბათუმში მოულოდნელი იყო აქაურ მცირეოდენ სომხობისათვის. ამ აჩქარებამ ისეც უყოთ, რომ აქაურს ქალაქის მოურავს პურ-მარილი ვერ მიართმევინეს, თუმც რამდენადაც გავიგეთ, ხონჩას და პურმარილსაც თავის ხარჯით აძლევდნენ—ოღონდ თქვენ მიართვით ქალაქის სახელობითაო, ქალაქს არას დავახარჯვინებთო...

ნავთ-სადგურზე კარგა ბლომად დახვდა ყოველ-გვარი ხალხი. მართლაც ყველას ენატრებოდა „ჰაირიკის“ ნახვა, რომელსაც ეს ორი წელიწადია თითქმის სრულიად სომხეთი ასეთის ამბით ელოდა. უფრო მეტი მუშა ხალხი იყო. ამ ხომალდიდამ მხოლოდ დილის რვა საათზე გადმოვიდა კათალიკოსი და ეკკლესიაში წავიდა. გზაზე მღვდელთ-მთავარი ეტლიდგან გადმოსვეს და ბალდახინს ქვეშ წაიყვანეს. კათალიკოსმა დაათვალიერა აგრეთვე სომხის სკოლა ახალს შენობაში, ნავთსადგურზე მიესალმა ბ-ნი ამბარდანოვი, მთავარ-მმართებლის მონდობილობით. ბ-ნი ამბარდანოვი რუსულად მიესალმა. როდესაც იკითხა ვინაობა და მოახსენეს, რომ სომეხიაო, ჰკითხა:—დედა ენა რატომ დაგვიწყებიათო?—„სომხური სულაც არ ვიცოდიო,—მოახსენა,—აქ დავიბადე და გავიზარდეო...

ქუთაისიდან მამა ტერ-დავითი ჩამოვიდა იქაურ სომეხთა სახელით მისასალმებლად. მაგრამ სამწუხაროდ მამა ტერ-დავითს თან მეორე დეპუტაცია ჩამოჰყვა კათალიკოსისავე მისასალმებლად და თან მამა ტერ-დავითზე საჩივლელად... „ჯერ არ შემოუდგამს ფეხი და ეხლავე საჩივარი!—ემუდარებოდნენ აქაური სომხები ქუთათურ მომჩივნებს,—აბა რას იტყვის „ჰაირიკი“, რა აზრს შეადგენს ქუთათურს სომხებზე... მაგრამ მაინც არ დაიშალეს...

სკოლის შენობაში დღეს ორს საათზე სადილი აქვს მთელს აქაურს სომხობას, კათალიკოსის პატივის საცემლად...

ზოგი შემდეგ.

რ—ლი

---

**სოფ. დიდი-ჯიხაიში** 25 აგვისტოს: დიდის ხნის გვალვებით გულშეწუხებულთ 23 ამ თვეს ძლივს გვეღირსა ზაფხულის ქუჟუნა წვიმა, რომელმაც გაალბო და გააგრილა თონესავით გახურებული და პირდამსკდარი დედა მიწის ნიადაგი. თუმცა ნახევარი ყანები ხელიდგან გამოგვეცალა გვალვის გამო, მაგრამ სასოწარკვეთილს ხალხს ცოტა იმედი მიეცა, რადგანაც ამ წვიმამ ნაგვიანევ ყანებს სულზედ მოუსწრო. გვალვამ ისე შეაწუხა და შეაშინა ხალხი, რომ სოფლად შიმშილობა თითქმის ამ თავითვე ჩამოვარდა. მოგეხსენებათ გლეხს რამდენი გადასახადი და მოთხოვნილება აწუხებს. ამის გამო ის სიმინდს ადრევე ჰყიდის ნახევარ ფასში და თავის სარჩოდ ძლიერ ცოტას იტოვებს იმ იმედით რომ ივლისის დამლევს ან აგვისტოს პირველ რიცხვები ახალი სიმინდიც მოუსწრობს, ან და კიდევ იმ იმედით, რომ სასესხებლად მაინც იშოვის. ამის გამო სიმინდის ფასმა ძლიერ აიწია, აქამდე ორ აბაზად ღირებული ფუთი სიმინდი სამ-აბაზ ოთხ აბაზში იყიდებოდა და იყიდება კიდეც სოფლად.

ცხენის წყლის ტოტის გამოყვანა ჩვენში პირველადვე თანაგრძნობით იყო მიღებული, მაგრამ ეს თანაგრძნობა და სურვილი წელს ნამეტნავად აღიძრა, რა-კი ნახეს, რა სარგებლობა შესძლებია ამ წყალს. ჩვენი სოფელი ძველადგანვე ცნობილი იყო როგორც ნოტიო და ჭაობიანი ალაგი, მაგრამ ეხლა სულ სხვა დრო დაგვიდგა: ის ძველებური ას წლოვან ხეებიანი ტყეები მოისპო, ის ძველებური გუბები და ჭაობები დაშრა თხრილების გიჟრით ჩვენი ზენა ქარი—ეს იმერეთის დაუძინარი მტერი, უფროდა უფრო გამძლავრდა, რა კი ტყეები გაიჩეხა. წასულ ზამთრის ქარები ჩვენთვის სანახსოვროა: ზოგს სახლები დაუნგრია თავზედ, ლობე-ჯებირები დაუფინა და სხ. ამ მიზეზებით მომავლისათვის უფრო და უფრო საჭირო იქნება ჩვენთვის წყალი. ეს რასაკვირველია ხალხმა შეიგნო და თავ-გამოდებულია, რომ იმდენი წყალი გამოიყვანოს სათავიდგან, რამდენიც საჭიროა და სამყოფი იქნება მთელ ამ მხრისათვის. ეს არხი გამოყვანილია შემდეგ სოფლებზე: მანთხოჯს, დ. ხონს, საწულუკიძოს, ივან-დიდს, კუხს, გუბს, პატარა-გოჩა-ჯიხაიშებს, დიდ-ჯიხაიშს და იანეთს. წელს ამ სოფლების მამული ვერ მოირწყო, რადგანაც იმდენი წყალი არხში არ იყო, რომ ჰყოფნოდა. უფრო ისარგებლა ზემო სოფლებმა, მაგ. მანთხოჯმა, ხონმა და ივან-დიდმა. ამით ცხადად დამტკიცდა, რა სარგებლობა შეუძლიან მორწყვას. წინად ქცევა მიწაზედ ოცი-ოცდა ათის ფუთის მოსავალს თუ მიიღებდა მუშა და იმასაც ალაგ-ალაგ, თორემ ბევრი მამული ისე ეგდო. წელს-კი უვარგის ადგილებზედაც, სადაც მოირწყო, მშვენიერი მოსავალი მომკეს. სიმინდი ტყესავითა დგას ოროლ-სამსამ ტაროთი. ჩვენ დავრჩით წელს უწყლოდ, მაგრამ მომავლისთვის ვიმედობთ წყლის მომატებას. ამ საქმის მოთავემ, რომ ნახა წყალი, რომელიც ახლა მოდის, სამყოფი არ არის, განიზრახა სათავეში სიღრმე-სიგანე მოუმატოს. წყლის არხის მოსამატებლად მუშა უკვე დამზადებულია და მალე მუშაობასაც შეუდგებიან.

გ—შე გ—ხი

25 მარიამობისთვე

---

**მარადიდი (ბათუმის ოლქი)**

(შემდეგი *)

ურიგო არ იქმნება, რომ ასეთ ფანატიკოს ხოჯა და მოლების დასასურათებლად რამდენიმე სიტყვა მოვიყვანო მათის ქადაგებიდამ, რომელიც 1879 წლებში შეუდგენიათ. ეს ქადაგება ხოჯებმა ზეპირად იციან და ჯამეში პარასკეობით ქადაგებენ. ორი ქადაგება თვით მე მოვისმინე.

ერთი ფანატიკოსი მოლა წელიწადში ერთხელ, რამაზანის მარხვაში, როცა ქალები დადიან ჯამეში, უქადაგებს „თათრის ქალმა რომ ქართველ კაცს პირისახე დაანახოს, მაშინვე დაიღუპება. მისთვის ჯენეთის კარები დაკეტილი იქნებაო“.

ერთი ქართველ მაჰმადიანთა დედაკაცი ერთ ქართველ ოჯახში მოსამსახურედ დამდგარიყო, ამ დედაკაცისთვის მოლას უთქვამს: „აი შენ დაწყევლილო და დაღუპულო, შენ განა ქართველ კაცის ოჯახში უნდა იყო მოსამსახურედ, ქართველი განა ღირსია, რომ წმიდა სჯულის მუსლიმანის დედაკაცი შინ მოსამსახურედ ჰყავდესო. დაანებე თავი, თორემ შეგაჩვენებო. დედაკაცი შეშინდა მოლას მუქარით და დიდის მწუხარებით გამოეთხოვა ქართველს ოჯახს.

ხშირად იციან ხოლმე ეს ქადაგება: „რაც ხანი გადის, ჩვენ წმიდა მუსლიმის ხალხი ერთობ ვფუჭდებით და ვეცემით. ბევრნი სიხარულით ამბობენ და იმედოვნებენ, რომ ჩვენს წმიდა სჯულს ჩვენი მორწმუნენი ოსმალეთში ძლიერ წმინდად ინახავენო. ამაზე მე მოგახსენებთ, საქმე ის-კი არ არის, რომ კაცმა იქ შეინახოს ჩვენი სჯული წმინდად, საცა ჩვენი ფადიშახი ზის, საქმე აი აქ არის, მარადიდში, აჭარაში და ნამეტურ ქობულეთში, აქ შევინახოთ ჩვენი სჯული“.

ამისთანა ქადაგებებს ესენი ხშირად ქრისტიანებშიაც წარმოსთქმენ ხოლმე. ამას წინედ იბრაიმ ხოჯა კიბისთაველმა წარმოსთქვა, რომ ამას წინედ ბათუმში ჩვენ ორი ქართველი გავათათრეთო. ერთი ქალი გათათრებულა კიდევ. ეს ქალი ბათუმიდამ ერთ ქართველ თათარს ტრაპიზონში გაჰყოლია ცოლად. ასეთსავე ოსტატობით და ცბიერებით გურიიდამ გამოუტყუილებიათ ერთი გურული კაცი, გვარად გირკალიძე, სოფ. გურიანთიდამ, ერთ სოფელში ადგილები მიუციათ და ეს კაციც გაუთათრებიათ. მერე ეს კაცი წასულა შინ, მოტყუილებით გადმოუყვანია ცოლი, სამი შვილი და ერთის წლის განმავლობაში ესენიც გათათრებულან. დღეს ამ კაცს ცოლი და ხუთი შვილი ჰყავს, ყველანი მაჰმადიანები არიან. ცოლს ჩადრი ხურავს, პირს იფარავს და თავის თავს თათარს უწოდებს. ეს მოხდა სულ ამ შვიდი-რვა წლის განმავლობაში. ცოლ-ქმარნი მადლობას უძღვნიან გამთათრებელს, რომ თქვენ ასეთ წმიდა სჯულზე დაგვაყენეთო.

ამ ერთის წლის წინედ ერთი ფაშრიკის ხოჯა ხშირად ამბობდა თურმე: თქვენთვის ძრიელ ცოდვაა, რომ თქვენი ნამდვილი ძმები ოსმალეთში სიმშილით იხოცებიან და თქვენ-კი ამ დროს აქა ბრძანდებით და უზრუნველად სცხოვრობთ. თქვენ ცეცხლად უნდა შეგერგოთ ის ლუკმა, რომელსაც თქვენ დღეს აქა სჭამთ, რადგანაც თქვენი ძმები იქით შიმშილით იხოცებიან. თუ წმინდა მუსლიმანები ხართ, მიბრძანდით თქვენ ძმებისაკენ, იმათ გვერდით იცხოვრეთ, იმათთან ერთად, იმათ ჭირში და მწუხარებაში მონაწილეობა მიიღეთ და, აი, მაშინ იქნებით მუსლიმანები.

ყოველ პარასკევ დღეს ხოჯები ხალხს პირდაპირ ეუბნებიან: აქ ჩვენი ბინა არ არის, ჩვენი ბინა იქით არის, ჩვენი ფადიშაჰიც იქ არის, აქ დარჩენა ჩვენი წაწყმედა იქნება, იქ წასვლა-კი ცხონებაა. გირჩევთ გაუფრთხილდეთ თავებს, თქვენს წმინდა სჯულს, საუკუნო ცხოვრებას და წახვიდეთ იქით, სადაც თქვენი ძმები სცხოვრობენ.

ორის წლის წინად ოსმალეთიდამ დაბა არდანუჯში მოსულა ერთი მსწავლული ხოჯა; ამ ხოჯას არდანუჯის ჯამეში ერთ დღეს ქადაგება წარმოუთქვამს აქაურ ხოჯების ქადაგების წინააღმდეგ და ხალხისთვის უთქვამს, რომ თქვენ ხოჯებს ყურს ნუ

*) იხ. «ივერია», № 185.

---

მხოლოდ წერას ისე ძლიერ არ ავიანებენ, როგორც თხოულობდა კორფი. ჩვენ არა გვგონია, რომ კორფს, ბუნაკოვს და სხვებს არ ესმოდათ და არ ესმით, რომ ხატვა ბეჭდურის კუთხიან ასოებისა ძნელებს შემდეგში ხელ-ნაწერის ასოების წერასა, რადგანაც ხელი, თავისუფალი განსხვავებული ჩვეულებისაგან, უფრო ადვილად სწავლობს წერასა, ვიდრე ის, რომელიც ხატვას ასოებისას დაეჩვია და წერის დროს ამ ჩვეულებას უნდა ებრძოლოს. მაგრაამ ხატვა ბეჭდურის ასოებისა ისე ეხმარება კითხვასა, ისე უმართავს ხელსა, რომ ამ მეორე ხარისხის ნაკლულევანებას ყურადღებას არ აქცევენ, რადგანაც პატარა ზიანით დიდს სიკეთეს იძენენ.

ევროპასა და რუსეთში წერა-კითხვის საქმეს ძლიერ აბრკოლებენ და აბრკოლებს დიდი განსხვავება ბეჭდურსა და საწერს ანბანს შუა. ეს განსხვავება იქამდის მიდის, რომ ბავშვი იძულებულია ერთსა და იმავე დროს ებრძოლოს ორის სამშობლო ანბანის შესწავლას. ამასთან ბეჭდურს ასოებს ისეთი მოხაზულება აქვთ, ისეთი კუთხიანები არიან, რომ მათი წერა შეუძლებელია,—ისინი უნდა უთუოდ იხატებოდნენ და ხატვა-კი მათი, ძლიერ სასარგებლო კითხვისათვის, მავნებელია წერისათვის, როგორც ეს ერთის წამის წინედ შევნიშნეთ.

შეიძლება მკითხველმა იკითხოს: რას ვეძახი მე ხატვას ასოებისას და რას წერასა? სახატავია ასო მაშინ, როდესაც მისი გამოსახვის დროს კალამი უნდა რავდენჯერმე მოაშორო ქაღალდსა, რათა ყველა ნაწილი ასოსი სრულად გამოიყვანო. საწერია ასო იმ შემთხვევაში, როცა კალამის ერთის მოსმით ქაღალდს აუშორებლივ მთელს ასოს გამოსახავთ. ავიღოთ მაგალითად, რუსული ბეჭდური Д და საწერი ∂. პირველის ასოს გამოსახვისათვის თქვენ ოთხჯერ-ხუთჯერ დაგჭირდებათ კალმის მოშორება ქაღალდიდგან, მეორეს-კი ერთი კალმის მოსმით სრულ ჰყოფთ. სახატავ კუთხიან ასოებიდგან შესდგება ყოველი ევროპიული ბეჭდური ანბანი საზოგადოდ და რუსული კერძოდ, და საწერს ასოებს წარმოგვიდგენს ხელნაწერი ანბანი. და სწორედ აქა გდია ვეებერთელა ლოდი სწავლების გზაზედ ევროპასა და რუსეთში: ამ მხრივ ჩვენს ქართულს ანბანს დიდი უპირატესობა აქვს ევროპიულ ანბანთ წინაშე. იგი სრულიად მოკლებულია ამ ორგვარს ხასიათსა. ბეჭდური, სახატავი ანბანი ჩვენ გვქონდა ძველს დროში, მეცხრე საუკუნემდე. ეს იყო ხუცური ასომთავრული, მთლად კუთხიანი ევროპიულ ანბანებისავით, რომლითაც მაშინ იხატებოდა ყოველი ქართული წიგნი, იხატებოდა-მეთქი, რადგანაც ამ კუთხიანი ასოების წერა ისევე შეუძლებელია, როგორც ეხლანდელის ევროპიულის ბეჭდურ ასოებისა. მას უკან, რაც მისი ადგილი დაიჭირა, ხელნაწერმა ხუცურმა და მეტადრე მისგან წარმომდგარმა მხედრულმა ხელმა, ჩვენ თავიდგან ავიშორეთ კუთხიანი სახატავი ანბანი და დავადგინეთ იმისთანა მრგვალი ანბანი, რომელიც საკითხავათაც ადვილია და საწერათაც: მთელს ჩვენს სტამბურში მხოლოდ ორი ასო მოიპოვება (ქ და ჰ), რომელთა დაწერის დროს კალამი უნდა ქაღალდს აცილო და ისიც მხოლოდ ერთხელ. სხვა ყველა ჩვენი ასოები იწერებიან კალმის ერთის მოსმით.

ერთის სიტყვით, ჩვენს ბეჭდურსა და ხელნაწერს ანბანს შორის სუფევს სრული მსგავსება, ერთობა, რომელიც ევროპისა და რუსეთისათვის ჯერ-ჯერობით შეადგენს საგანს ნატვრისასა. რა არის ნუსხური ანბანი? იგივე ბეჭდური, შემოკლებული, დაპატარავებული და გადამბული. რა არის ბეჭდური ანბანი? იგივე ნუსხური, გადიდებული, გაფურჩვნილი და გადაუმბელი. ერთი ანბანიც და მეორეც მოშორებულნი არიან კუთხიანობასა და წარმოადგენენ მრგვალს ხელსა, რომელიც თვალისათვისაც საადვილოა და ხელისათვისაც. ეს ერთობა საკითხავისა და საწერის ანბანისა სწორედ ღვთის წყალობაა მეტადრე ჩვენთვის, რადგანაც ძლიერ გვეჭირვება გაადვილება სამშობლო წერა-კითხვის შესწავლისა. ამ სახით თვით ბუნება ჩვენის ანბანისა გვამცნებს: აწერინეთ პირველს ხანებში ბავშვს იგივე სტამბური ხელი, რომელსაც იგი წიგნში კითხულობს. ამას მოითხოვს უდიდესი ინტერესი კითხვისა, რომელიც მთავარს საგანს შეადგენს პირველ დაწყებითს სწავლაში.

ამ მცნებას აქამომდე ქართველები მტკიცედ ვადექით, წერას ვიწყობდით სტამბურიდგან, გადავდიოდით ნუსხურზედ. მაგრამ სწორედ იმ დროს, როდესაც ევროპასა და რუსეთში შეიგნეს, თუ რა მავნებელია ერთის ანბანის კითხვა და მეორის წერა, და სცდილობენ იმავე გზას დაადგნენ, რომელსაც ჩვენ აქამომდე მივდევდით, ჩვენში აღმოჩნდნენ პირნი, რომელთაც იწყეს ღაღადება, რომ სტამბური უნდა ვიკითხოთ და ნუსხური ვაწერინოთო. სწორედ ჩინებული დრო შეარჩიეს უკუღმართის რეფორმის მოსახდენად. ამ შემთხვევაში ჩვენ ვხედავთ იმავე სასაცილო სამტირალო მოვლენასა, რომელიც ჩვენში დაიბადა წერის მიმართულების შესახებ. ვიდრე ევროპასა და რუსეთში ალმაცერი ხელი მეფობდა და პირდაპირი ხელი სრულიად უარ ყოფილი იყო, ჩვენ საქებურის სიმტკიცით ვადექით პირდაპირ ხელსა. როცა ევროპაში, რუსეთსა და თვით კავკასიაში (ოფიციალური რუსი პედაგოგებიც-კი) მიხვდნენ და დარწმუნდნენ, რომ პირდაპირ წერას ყოველი უპირატესობა აქვს ალმაცერად წერასთან, როდესაც ეს უკანასკნელი წერა დღითი-დღე უქმდება და მეფობას ძალა უნებურად უთმობს სახლობასა და სკოლაში პირდაპირ წერასა, სწორედ ამ დროს აღმოჩნდნენ ჩვენში პედაგოგები, რომელთაც იწყეს ქადაგება ალმაცერა ხელის შემოღებაზედ და ნახევრობით მაინც ეწიენ გულის წადილსა. მიდი და ნუ გაიმეორებ ჩვენის პოეტის ლექსსა: ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?..

იაკობ გოგებაშვილი

უგდებთ, ოსმალში ნუ მიდიხართ. თქვენ გურჯები ხართ, ეს მხარეც გურჯისტანია, იცხოვრეთ აქა, იყავით მშვიდობით და ცხონების ფიქრი ნუ გაქვთ, ეს ყველგან არის სადაც-კი კაი საქმეები არსებობსო. ეს ხოჯა ქადაგების შემდეგ კინაღამ მოუკლავთ. ჯამეში დაუჭერიათ, შეუკრავთ და სამართალში მიუციათ, მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველი გვიწოდა და გადასახლება არ გვირჩიაო.

ნაცემი ხოჯა თურმე დიდის მწუხარებით მოშორებია არდანუჯს. ზემოხსენებულ მავნე მტერ ხოჯების ქადაგებათა წინააღმდეგ აჭარის მუფთი ხალიფაშვილიც ქადაგებდა თურმე ადრე და ეს გავლენიანი მუფთი რომ თავის ქადაგებით არ აღმოჩენილიყო აჭარაში, შესაძლებელი იქმნებოდა, რომ ზოგიერთ მავნე ხოჯების ქადაგების მეოხებით მთელი აჭარაც მუჰაჯირად წავიდოდა ოსმალეთში.

ზ. ჭ.

## ბიბლიოგრაფია

ჩვენ მოგვივიდა ახალი წიგნი, ბ-ნ თავართქილაძის წიგნის მაღაზიისმიერ გამოცემული (№ 26) ახალ-სენაკში: „ხოლერა და იმის თავიდგან ასაცდენი დარიგებანი“ დიმ. ერისთავისა. წიგნი სუფთად დაბეჭდილია, შეიცავს 33 გვერდს და ღირს ორი შაური. როგორც ზედ-წარწერიდგანა სჩანს, „ამ წიგნის შემოსავალი გადადებულია ბარათაშვილის ფონდის სასარგებლოდ“.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

როგორ გამოდის პარიჟში ახალი მოდა. ჯერ ის ვკითხოთ, რა არის მოდა და რისაგან შესდგება? მოდისთვის საჭიროა: 1) როგორიმე ტანთსაცმელი და გამოჭრა; 2) ფერი ფართლისა სხვა და სხვა სეზონისთვის; 3) მოდა შაპოებისა და საზოგადოდ რაც-კი შეეხება შაპოების სამკაულს, ლენტებს, ყვავილებსა და სხვა. აქედგან შესდგება ორგვარი მოდა: საზღვარ გარეთისა და პარიჟისა. მაგალითად, ივლისში სალონებში ამზადებენ ზამთრისთვის სხვა და სხვა მოდებს. სახელოსნოს დირექტრისები დიდ მზადებაში არიან. ზოგს მოაქვს მოდელები, ზოგს სურათები და სხვა. ივლისის გასულს ან აგვისტოს დამდეგს ყველა მხრიდგან მოდიან პარიჟში კომისიონერები და ვაჭრები, ამჩევენ ახალ მოდის ფართალსა და ტანთსაცმელს შეუკვეთენ. ეს გახლავთ «საზღვარ გარეთის მოდა» ხოლო ამას შემდეგ შეითხზება მოდა პარიჟისა. პარიჟის მოდის დამაარსებელნი არიან პარიჟის უმაღლეს საზოგადოების სუბუქის ყოფა-ქცევის ქალები. ქალები სინჯავენ საზღვარ გარედ გასაგზავნ მოდელებს და იშვიათად თუ მთლად მოიწონებენ ამ ახალს მოდას. უფრო ხშირად ახალს მოდას თავის გემოვნებაზედ გადააკეთებენ ხოლმე. აი სწორედ ეს არი ნამდვილი მოდა პარიჟისა. თერძები და მკერვალი ქალები აქ არაფერ შუაში არიან. თუ პარიჟის მოდამ მოიწონა რამ, ან უარ-ჰყო, ეს მაინც რამდენსამე ხანს იქმნება მიღებული. ამ გვარად ხანდახან ისე მოხდება ხოლმე, რომ ის მოდა, რომელიც საზღვარ გარედ ყველგან არის მიღებული, პარიჟში შეწყნარებული არ არის. რა-კი ახალი მოდა იქმნა შემოღებული, იგი პარიჟში ერთის წლის განმავლობაში მაინც სუფევს. პროვინციაში ახალ მოდას მხოლოდ მაშინ შემოიღებენ ხოლმე, როცა პარიჟში ეს მოდა აღარც-კი ახსოვთ.

## გასართობი

ამას წინად ღამის სამ საათზედ ლონდონის ქუჩებში ველოსიპედით უფარნოდ დასრიალებდა პასტორი ტომ ვარრენი. პატივცემული პასტორი ველოსიპედით დაეჯახა პოლიციელს და კინაღამ წააქცია. დასწერეს ოქმი და წარუდგინეს სასამართლოს. დაიბარეს პასტორი. პასტორმა გამოაცხადა, ფარანი გზაში გამიქრაო, მაგრამ მოსამართლემ ეს არ შეიწყნარა და დამნაშავე პასტორს მიუსაჯა ხუთი შილინგი ჯარიმა. ველოსიპედისტებს ეს არ სწყენიათ: ამიერიდგან მთელს ქვეყანას ეცოდინება, რომ ველოსიპედისტებ შორის პასტორებიც არიან.

## გამოსადეგი ცნობა

როგორ უნდა გაკეთდეს კუმისი (ცხენის რძის დო). ჯერ უნდა მომზადდეს კუმისის ექსტრაკტი. ამისათვის უნდა მოიღონ: 100 ნაწილი რძის დაფქული შაქარი, ამდენივე დექსტროზა, 300 ნაწილი ლერწმის შაქარი, 36 ნაწილი ნახშირმჟავე ნატრი, 32 ნაწილი ხლორის ნატრი და ყოველივე ეს გაიხსნას 500 ნაწილ მდუღარე ტკბილ შრატში. შემდეგ, რო გაცივდება, უნდა მიემატოს 100 ნაწილი ღვინის სპირტი და ამდენივე ლუდის გაწურული თხლე. უნდა კარგად აირიოს და პატარა ბოთლებში (ლიტრის მეოთხედი) ჩაისხას, პირი მაგრა დაეცოს და ცივს ადგილში შეინახოს. კუმისის გასაკეთებლად დიდ სქელ ბოთლში (ლიტრიანი) უნდა ჩაისხას ნელთბილი ნაღებ-მოხდილი რძე და აერიოს ხუთი-ექვსი კოვზი კარგად აჭანჭყარებულ კუმისის ექსტრაკტისა ისე რომ ბოთლი სავსე არ იყოს, სამი-ოთხი თითის დადება აკლდეს. შემდეგ თავი უნდა დაეცოს ბოთლსა და 16—20 გრადუსიან თბილ ადგილში, შეინახონ მერე უფრო გრილ ადგილში გადიტანონ და ხანდისხან შეაჭანჭყარონ. დღენახევრისა ან ორის დღის შემდეგ კუმისი მზად არის. რასაკვირველია, კუმისის სიკეთე იმაზედაა დამოკიდებული, რამდენად კარგი იყო ის მასალა, რომელიც მის გასაკეთებლად ხმარებულ იქმნა.

## დეპეშა

28 აგვისტო

**ლონდონი.** ლორდთა პალატამ 416 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 41-სა მეორედ განხილვის დროს უარ-ჰყო ირლანდიის ბილლი. კამათობამ 4 დღეს გასტანა. პალატის გარდაწყვეტილება მოისმინეს ხანგრძლივის ტაშისცემებით.

29 აგვისტო

„მთავრობის მოამბე“ იუწყება, რომ, რადგანაც უფროს სემესტრების სტუდენტები ამ ჟამად ხოლერას ებრძვიან და მათი შრომა სასარგებლოც არის, საჭირო იქმნა სამკურნალო ფაკულტეტის ეგზამენები გადიდოს 1 ნოემბრამდე, ხოლო სწავლა-კი ამავე ფაკულტეტის 7—9 სემესტრების სტუდენტებს დაეწყობათ 1 ოქტომბერს.

**პარიჟი.** ჟურნალ-გაზეთების კომიტეტმა გადასწყვიტა ხელის მოწერით ფული შეაგროვოს და დღესასწაულები გამართოს რუსეთის ნავოსანთა პარიჟში ყოფნის დროს.

30 აგვისტო.

**პეტერბურგი.** დიდს მთავარს პავლე ალექსანდრეს ძეს ებოძა გენერალ-მაიორობა. უმთავრეს შტაბის უფროსი გენერალი ობრუჩევი დანიშნულ იქმნა სახელმწიფო საბჭოს წევრად. გარეშე საქმეთა მინისტრის თანაშემწეს შიშკინს ებოძა ორდენი წმ. ალექსანდრე ნეველისა. დონის ჯარის ატამანს თ. სვიატოპოლკ-მირსკის ებოძა ბრილიანტის ნიშნები წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენისა. ებოძათ ორდენები თეთრის არწივისა: იმიერ-კასპის ოლქის უფროსს კუროპატკინს და თერგის უფროსს კოხანოვს. გენერლობა კავალერიისა:—საიმპერატორო სასახლის უფროსის თანაშემწეს ვოეიკოვს; გენერლობა ინფანტერიისა: კავკასიის მთავარმართებლის თანაშემწეს გრაფ ტატიშჩევს. ყარსის სამხედრო გუბერნატორს ტომიჩს ებოძა გენერალ-ლეიტენანტობა.

**პარიჟი.** რუსეთის ნავოსანთა პატივ-საცემლად დღესასწაულის გამართვისთვის ხელის მოწერით ფულის შეგროვება ჯერ-ჯერობით გადაიდო, ვიდრე დაწვრილებით ცნობებს არ მიიღებენ, როდის მოვა და რამდენს ხანს დარჩება პარიჟში რუსეთის ესკადრა.

31 აგვისტო

**პეტერბურგი.** ებოძა ორდენი თეთრის არწივისა განჯის გუბერნატორს თაეად ნაკაშიძეს.

**პარიჟი.** დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე, ჰერცოგი და ჰერცოგინა ლეიხტენბურგისა გუშინ მოვიდნენ პარიჟში; სადგურზედ მიეგება ბარონი მორენგეიმი და წევრნი რუსეთის საელჩოსანი.

დღეს ექმნება ბჭობა საფრანგეთის მწერლობის კომიტეტსა და ბარონ მორენგიმსა, როგორ იდღესასწაულონ რუსეთის ნავოსანთა მოსვლა.

**ლონდონი.** სიამიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ ინგლისისა და რუსეთის კომისარები შეთანხმდნენ კუშკინის საზღვრების შესახებ.


## განცხადებანი

„გაფრთხილება“

ამით ვაფრთხილებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ბ-ნ იოსებ დავითის ძის ბაქრაძის მეტი აგენტი არავინ მყავს ტფილისსა, ქუთაისსა, ფოთსა და ბათუმში და არცა თუ სხვაგან სადმე იმ განცხადებათა მისაღებად, რომლებიც «საქართველოს გალენდარში» იქმნების დაბეჭდილი.

ვალ. გუნია

(3—1)

# მამოსადეგი ცნობანი

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ე. მ. ჩიქოანი, 9—10½ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტაშბი ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვეისა და. დედათა სქესისა.

ი. ф პროტასევიჩი, 11½—12½ საათამდის, სნეულებანი: ყურ-ს, ყელის და ცხვირისა.

ა. ფ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. ა. გადომსკი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ე. ი. ფრანცუსი, 7½—8 საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

## წინამძღვრიანთ კარის სასოფლო მეურნეობის სკოლაში

წინამძღვრიანთ კარის სასოფლო მეურნეობის სკოლაში 1 სექტემბრიდამ 5-მდე მიღებულ იქმნება ჯანმრთელი ყმაწვილები, არა ნაკლებ ათის წლისა, ყველა წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

ვისაც სურვილი აქვს სკოლაში ყმაწვილი მიაბაროს, იმან უნდა პირად ანუ წერილით განუცხადოს თავისი სურვილი სკოლის მზრუნველს ილია ივანეს ძეს წინამძღვრიშვილს (მომრიგებელს მოსამართლეს) ქ. ტფილისში, სკოლის ზედამხედველს სოფ. წინამძღვარიანთ კარში, წარმოადგინოს ყმაწვილის წლოვანების მოწმობა, სინოდის კანტორიდამ მიღებული, ან მღვდლისაგან მიცემული ამოწერილობა წლოვანების წიგნიდამ და იმ სკოლის მოწმობა, სადაც ბავშვს უწინ უსწავლია. გამოცდა ყმაწვილებისა მოსამზადებელს კლასის პირველს განყოფილებაში არ იქმნება. მხოლოდ ვინც მოსამზადებელ კლასის დანარჩენ განყოფილებაში შესვლას მოინდომებს, იმას უნდა ჰქონდეს შესაფერი მომზადება და სწავლა.

სასწავლო სკოლის კურსს შეადგენს: 1) საღმრთო წერილი, 2) ქართული და რუსული ენები, 3) არითმეტიკა და პრაქტიკული გეომეტრია, 4) სამშობლოს შესწავლა, მოკლე გეოგრაფია რუსეთისა და ევროპის სახელმწიფოებისა და საზოგადო მიმოხილვა ქვეყნებისა, 5) ბუნების მეცნიერება, 6) სამეურნეო საგნები: მიწის შემუშავება, მებაღობა, მებოსტნობა, ვაზის მოვლა-მოშენება, ღვინის დაყენება, საქონლისა და აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოშენება, მეფუტკრობა, და სასოფლო მეურნობის ანგარიშის ცოდნა, 7) ხატვა, 8) საეკკლესიო და საერო გალობა, 9) სწავლა ხელოსნობისა: დურგლობისა, მჭედლობისა და წიგნების კაზმისა.

სკოლაში ყმაწვილები უსასყიდლოდ მიიღებენ სწავლას და ყველა სასწავლო ნივთებს, მხოლოდ დედ-მამამ, ანუ იმათმა მოადგილემ უნდა ყმაწვილს სოფელში ბინა უშოვოს, ჩააცვას და დახუროს.

სკოლაში მიიღებიან ისეთი მოზრდილი ყმაწვილებიც, რომელთაც სწავლა სხვა სასწავლებელში გაუთავებიათ და სურვილი აქვთ სასოფლო მეურნეობა შეისწავლონ და ფერმაში ივარჯიშონ.

შორ მხრიდამ მოყვანილ ყმაწვილებისათვის სოფ. წინამძღვრიანთ-კარში გამართულია სკოლის ხარჯით 30 შეგირდისათვის სადგური. ყველა საქმეს ამ სადგურისას თვით სკოლის პედაგოგიური კრება განაგებს. თითო შეგირდის შესანახავად დანიშნულია ჯერ-ჯერობით თვეში შვიდი მანათი, შემდეგში სკოლის მმართველობა ეცდება, ეს ფასი შეამციროს. ყმაწვილს დილა-საღამოს მიეცემა სტაქანი ჩაი, ანუ რძე პურით, შუადღისას საუზმე და სწავლის შემდეგ სადილი თითო კერძი: ხსნილში სახსნილო და მარხვაში სამარხვო. კვირაში ერთხელ საცვალი გამოეცვლებათ.

ვისაც სურს მიაბაროს ყმაწვილი სკოლის სადგურში, იმან უნდა წარმოადგინოს: შესანახავი მთელი წლის ფული 84 მანეთი.

ყმაწვილს უნდა ჰქონდეს კრაოტი (შეუძლიან შემოიტანოს სამი მანათი კრაოტის სასყიდლად), ქვეშაგები, სამი ხელი საცვალი და სამი ხელი სკოლისათვის დაწესებული ტანთსაცმელი: ერთი საზამთრო და ორი საზაფხულო.

ფული და ყოველგვარი წერილები გამოიგზავნება შემდეგის ადრესით: Станція Мцхетъ, смотрителю Цинамсгваріантъ-карской селско-хозяйственной школы.


Доз. ценз. Тифлисъ, 31-го Августа 1893 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე